

ირაკლი გუნია

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელ-ფოსტა: irakligunia@gmail.com

„გრუზიის“ გამოგონება: კულტურის როლი რუსეთის პოლიტიკაში საქართველოს მიმართ

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია იკვლევს რუსეთის იმპერიულ დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ და წარმოაჩენს „გრუზიას“ როგორც ცოდნისა და ძალაუფლების ურთიერთკავშირზე დაფუძნებულ დისკურსულ ფორმაციას. სტატიაში განხილულია რუსული „თვით“-ის (Self) ფორმირების პროცესი პერიფერიების „გრუზიიზაციის“, მათი დაკნინებისა და მარგინალიზაციის ხარჯზე. ნაშრომი აჩვენებს, რომ რუსული ლიტერატურა და კულტურული ინდუსტრია აქტიურად მონაწილეობდნენ კოლონიალური იმეჯინერის ფორმირებაში, სადაც საქართველო წარმოდგენილი იყო როგორც ეგზოტიზებული, ფემინიზებული და ისტორიულად არასრულფასოვანი სივრცე, რომელიც საჭიროებს რუსული ცენტრის ცივილიზატორულ, მფარველობით და დისციპლინარულ ჩარევას.

ედვარდ საიდის ორიენტალიზმის თეორიასა და მიშელ ფუკოს გენეალოგიურ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, ნაშრომი აანალიზებს, თუ როგორ მოხდა რუსულ კულტურულ ინდუსტრიასა და ლიტერატურაში საქართველოს, როგორც „ეგზოტიკური სხვის“, კონსტრუირება. გენეალოგიური პერსპექტივა საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ამ დისკურსის მატერიალიზაციისა და ინსტიტუციონალიზაციის ტრაექტორიები, რაც საბოლოოდ რუსული იმპერიული იდენტობის ფუნდამენტურ კომპონენტად იქცა.

რუსული კულტურული ინდუსტრიის - და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ლიტერატურის - როლის ანალიზით, ნაშრომი აჩვენებს, თუ როგორ გარდაიქმნა კავკასია და საქართველო ეგზოტიზებულ „არა-სივრცედ“, რომელიც მოკლებულია შინაგან ისტორიასა თუ მოდერნულობას. ეს ლიტერატურული ტრადიცია, პუშკინიდან და ლერმონტოვიდან საბჭოთა პერიოდის „მზიურ საქართველომდე“, ფუნქციონირებდა როგორც ბიოპოლიტიკის ინსტრუმენტი, რომლის მიზანიც იყო „მორჩილი სუბიექტების“ აღზრდა და იმპერიული ცენტრის წარმოჩენა კეთილისმყოფელ მისიონერად, მოდერნიზატორად თუ მცირე ერების მხსნელად.

სტატიაში ასევე განიხილება რუსეთის იმპერიული ცნობიერების ისტორიული ტრაექტორია - ცარისტული პერიოდიდან საბჭოთა კავშირსა და თანამედროვე რუსეთის ფედერაციამდე - და მისი კავშირი ცივილიზაციური მისიის, „ახლო საზღვარგარეთის“ და

„რუსული სამყაროს“ დისკურსებთან. ამ ტროპების უწყვეტობა ცარისტულ, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდებში ხაზს უსვამს იმპერიული იმეჯინერის მდგრადობას, მიუხედავად იდეოლოგიური შეფუთვის ცვლილებისა - განათლებული ავტოკრატიიდან, მოგვიანებით მართლმადიდებლობიდან სოციალისტურ ინტერნაციონალიზმამდე და თანამედროვე „რუსულ სამყარომდე“, როგორც განსხვავებულ ცივილიზაციურ სფერომდე.

წინამდებარე კვლევას სურს წვლილი შეიტანოს კავკასიის პოსტკოლონიურ რუკაზე არსებული „თეთრი ლაქების“ შევსებაში. სტატია არგუმენტირებს, რომ რეგიონის ნამდვილი დეკოლონიზაცია მოითხოვს იმ ღრმად გამჯდარი კულტურული რეპრეზენტაციების დეკონსტრუქციას, რომლებიც საქართველოს ართმევენ დამოუკიდებელ ნებასა და აგენტობას იმპერიული ცენტრის თვალში. სტატია ხაზს უსვამს რუსული კულტურული ნარატივების შემდგომი დეკოლონიზაციისა და სუბალტერნული ხმების უფრო მეტად ყურადღების აუცილებლობას, ყოფილ პერიფერიებთან ურთიერთობების ხელახლა გააზრებისთვის.

საკვანძო სიტყვები: *ორიენტალიზმი, გენეალოგია, რუსული იმპერიალიზმი, დისკურსიული ფორმაცია, საქართველო, დეკოლონიზაცია, ცოდნა/ძალაუფლება, სუბალტერნული იმპერია, იმპერიული იმეჯინერი.*

შესავალი

რუსეთის სახელმწიფო ისტებლიშმენტის და პოლიტიკური კლასების წარმომადგენლები ხშირად გამოხატავენ სიმწიფეს მიიღონ მათ პერიფერიაში არსებული რესპუბლიკები საკუთარი აგენტობის მქონე სრულად სუვერენულ ერთეულებად. ამის ნაცვლად, ისინი პირიქით ხაზს უსვამენ მათ 'ხელოვნურობასა' თუ 'სახელმწიფოებრიობის არქონაზე' და ამით აგრძელებენ საბჭოთა ელიტების აროგანტულ დამოკიდებულებას ადრინდელი სატელიტების მიმართ (Wallander 1996, 207-218). ამგვარი ცნობიერება საკუთარი გავლენის სფეროდ მიჩნეულ 'ახლო საზღვარგარეთის' ხალხებს წარმოიდგენს საკუთარ 'პატარა ძმებად', რომელთა დაცვა, აღზრდა, ხსნა თუ მოდერნიზება ისტორიულად ველიკორუსების პრეროგატივას წარმოადგენდა და მათი მხრიდან მადლიერების ნაცვლად ამ კეთილისმყოფელი როლის უგულებელყოფა გარეშე ძალებისგან თავსმოხვეული მავნებლობაა.

რუსეთის ამგვარი დამოკიდებულება ყოფილი პერიფერიების მიმართ მნიშვნელოვანწილად ლეგიტიმიზებულია კულტურიდან და უმთავრესად ლიტერატურიდან შექმნილი დაპყრობილი ქვეყნების ხელოვნური რეპრეზენტაციებით. როგორც პოსტკოლონიალიზმის მთავარი შემოქმედი ედვარდ საიდი წერს, „იმპერიის წამოწყება დამოკიდებულია იმპერიის ფლობის იდეაზე... და ყველა სახის მზადება შექმნილია კულტურის ფარგლებში. შემდეგ ამის საპასუხოდ იმპერიალიზმი იძენს თანმიმდევრულობას, გამოცდილებათა წყებას, ერთნაირად მართველისა და მართულის თანდასწრებას კულტურის შიგნით“ (Said 1993, 11). სტატია ეცდება იმ მოსაზრების წარმოჩენას, რომ „სხვა“ (Other) დაპყრობილი მეზობელი მხარეების რეპრეზენტაცია, რისი

გამორჩეული როლიც შეასრულა საქართველომ და ზოგადად კავკასიის რეგიონმა, რუსულ იმპერიებს დიდწილად ეხმარებოდა „თვით“-ის (Self) განსაზღვრაში.

რუსეთის შემთხვევაში ერთდროულად ხდებოდა კოლონიზატორისა და კოლონიზებულის იდენტობების ჩამოყალიბება, უფროსი და უმცროსი ძმების როლის განსაზღვრა, მათი ისტორიების (რე)კონსტრუირება, ცენტრსა და პერიფერიაში დისციპლინური პრაქტიკების შემოტანა, მორჩილი სუბიექტების აღზრდა და მათზე საერთო სოციალური იმეჯინერის დაწესება. რუსული კულტურული ინდუსტრია მონაწილეობდა იმპერიალიზმში იმ ფორმით, რომ ახდენდა შემოერთებული ხალხების საგანგებო დაკნინებას, დამცრობას, ეგზოტიზებას, ძაგებას, რათა ამით შეექმნა საკუთარი თავის იდენტობა და წარმოეჩინა როლი მისიონერისა, მოდერნიზატორისა, ჩამორჩენილ მხარეში ცივილიზაციისა თუ სოციალიზმის შემომტანისა, დისციპლინის მომხდენისა, 'მეგობრული ხიშტებით' მათი დამცველისა და მხსნელისა (მიხეილ ლერმონტოვი), ხოლო საჭიროების შემთხვევაში 'არამართვადთა დამაშოშმინებლისა' (პაველ პესტელი). წინამდებარე სტატია იკვლევს პოსტმოდერნული გენეალოგიური მეთოდოლოგიით რუსულ ლიტერატურაში შექმნილი საქართველოს ('გრუზია') დისკურსიული ფორმაციის გამოძიებას, თუ როგორ მოხდა მისი ტრაექტორია, დისკურსში მატერიალიზება და ინსტიტუციონალიზაცია.

თეორია და მეთოდოლოგია

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში პოსტმოდერნისტული (ან პოსტსტრუქტურალისტური) ანალიზის მუდმივი თანმდევი თემა არის ობიექტური ჭეშმარიტების, ცოდნის მყარი საფუძვლების, შესაბამისად პოზიტივისტური მეთოდოლოგიის და აგრეთვე ისეთი თეორიზების უარყოფა, რომელიც ცდილობს კანონისმაგვარი რეგულარულობის შესახებ ჰიპოთეზების იდენტიფიცირებას და ტესტირებას. მათთვის ცოდნა არასოდესაა ნეიტრალური, ის ყოველთვის მიდრეკილია გარკვეული ინტერესებისკენ (Cox 1981), ყოველი მსჯელობა პოლიტიკაზე აირეკლავს ძალაუფლების სტრუქტურას, აგრეთვე არ არსებობს ისეთი „არქიმედული წერტილი, საიდანაც შესაძლებელია ანალიტიკური და ეთიკური ცოდნის პრეტენზიის ვალიდურობის შეფასება“ (Price & Reus-Smit 1998, 262). ამის ნაცვლად პოსტმოდერნისტები ფოკუსირდებიან ენასა და დისკურსზე, მათთვის ენა აღარ აღწერს დაფარულ რეალობას, არამედ ის განუყოფელია ამავე რეალობის აუცილებლად სოციალური კონსტრუქციისგან (George and Campbell 1990, 273). მათი ეპისტემოლოგია ემყარება მეოცე საუკუნის ფილოსოფიაში მომხდარ 'ლინგვისტურ ბრუნს', რომლის მიხედვითაც შეუძლებელია გავცდეთ საკუთარ ენას მისი აღწერის საგნის შეფასებისას და გვქონდეს ცოდნის მყარი საფუძველი ('ground') სამყაროში (Wittgenstein 1958). ენა არაა გამჭვირვალე მედიუმი, რომლითაც სამყაროს ჩაწდომაა შესაძლებელი, ის ყოველთვის ჩართულია სოციალურ პრაქტიკაში და განუყრელია სამყაროსგან (Rorty 1967). შედეგად, სოციალური კვლევა „უნდა იყოს დაინტერესებული მნიშვნელობის სოციალურ კონსტიტუციაზე, რეალობის ლინგვისტურ კონსტრუქციაზე და ცოდნის ისტორიულობაზე, ამით დასტურდება ინტერპრეტაციათა გარდაუვალობა და მიანიშნებს სამყაროს რუკის შედგენისას ნებისმიერი ცოდნის ჩართულობაზე ძალაუფლებასთან“ (Campbell 2007, 209-210).

პოსტ-სტრუქტურალისტებად ან პოსტ-მოდერნისტებად შერაცხული თეორეტიკოსებისთვის (თავად ისინი უხეშ კატეგორიზებებს ერიდებიან) ცოდნა და ძალაუფლება არის ერთმანეთზე ფარულად გადაბმული, ცოდნა არ არის იმუნური

ძალაუფლების ქმედებისგან. პოსტ-სტრუქტურალიზმი ანალიზის რეორიენტირებას ახდენს მანამდე მოცემულობად აღქმული სუბიექტებიდან სუბიექტურობის (subjectivity) პრობლემატიკამდე. ეს გულისხმობს ძალაუფლებისა და იდენტობის საკითხის ხელახლა გააზრებას, იმ დაშვებას, რომ ყველა იდენტობა არის ძალაუფლების ოპერაციის ეფექტი და მატერიალიზებული დისკურსის საშუალებით. პოსტ-სტრუქტურალიზმის კრიტიკული მიდგომა არის ემპირიული იმ გაგებით, რომ ის იყენებს არქივებს, გამოსახულებებს, კონტენტ-ანალიზს, მონაცემებს და ა.შ. როგორც ძალაუფლებისა და ცოდნის ურთიერთობის გაგების მტკიცებულებას (George and Campbell, 1990). ამ სტატიაში გამოყენებული იქნება მიშელ ფუკოს მიერ გვიანი ნიცმესგან ნასესხები გენეალოგიური მეთოდოლოგია, რომელიც ისტორიას წარმოიდგენს, როგორც გარკვეულ სერიას ცოდნა/ძალაუფლების დაწესებისა და გაბატონების, ხოლო გენეალოგისტის როლს, როგორც გამომჟღავნებლის იმ უამრავი ტრაექტორიის, რომელიც წახალისდა ან პირიქით მოისპო სუბიექტების, ობიექტების, ქმედებათა ველისა თუ ცოდნის დომენის კონსტიტუციისას (Foucault 2003, 306). გენეალოგიური მეთოდით, ფუკო დაინტერესებულია, თუ როგორ არის დაწესებული კონკრეტული „სიმართლის რეჟიმი“ და თუ არსებობს ცოდნის ლოკალური ფორმა, რომელიც გადაურჩა ინსტიტუციონალიზებას. გენეალოგიას აქვს ეთიკურ-პოლიტიკური სარჩულიც, როდესაც ის ცდილობს ნორმალურად თუ ბუნებრივად მიღებული გაბატონებული იდენტობის ფორმაციათა პრობლემატიზებას. ის უარს ამბობს მიიღოს ისტორია თანამედროვე იდენტობათა გასამყარებლად და სანაცვლოდ იყენებს მას დოგმატიზებული, ნორმალიზებული და კონვენციალიზებული იდენტობათა დასარღვევად. ამგვარი გენეალოგიური ანალიზით, ჩვენ შეიძლება ჩავწვდეთ ფუკოს მცდელობას „დაეწერა აწმყოს ისტორია“ (Burchill et al 2009, 388).

პოსტმოდერნისტული ხედვით, ტექსტები არის ძალაუფლების ინსტრუმენტი. „ტექსტუალური ურთიერთქმედება“ (textual interplay), როგორც რეპრეზენტაციის მოდელი აყალიბებს სოციალურ რეალობას, ხოლო პოსტმოდერნისტების მიზანია სხვადასხვა სტრატეგიით (როგორიცაა დეკონსტრუირება ან ორმაგი წაკითხვა) ძალაუფლების ამ ქმედების გამოაშკარავება (Burchill et al 2009, 168). გენეალოგიის მეთოდით, რომელიც ცდილობს ცოდნა-ძალაუფლების (savoir-pouvoir) ურთიერთობის გამომჟღავნებას, ისტორია ვითარდება, როგორც ცოდნის და ძალაუფლების დაწესებათა და დომინაციათა სერია, ხოლო გენეალოგისტის მოვალეობაა გამოავლინოს მათი სხვადასხვაგვარი ტრაექტორიები, რომლითაც ძალაუფლება ხდება საზოგადოებაში იმანენტური და შეღწევადი ყველა სახის ურთიერთობამდე. გენეალოგია „ფოკუსირდება პროცესზე, რომლითაც ჩვენ წარმოვიდგინეთ საწყისები და მივეცით მნიშვნელობა წარსულის გარკვეულ რეპრეზენტაციას, რომლებიც თავის მხრივ შეუწყვეტლივ უძღვებიან ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას და აწესებენ მკაცრ ლიმიტებს პოლიტიკურ თუ სოციალურ არჩევანებზე“ (Bleiker 2000, 2). სტატიას აინტერესებს საქართველოს „სხვად“ ქცევის პროცესი, რომელიც არ იკავებდა იმავე მორალურ პოზიციას, როგორც რუსული „თვით“ (self), რამაც „სხვისადმი“ მოპყრობა საბოლოოდ უფრო მეტად ექსპლუატორული გახადა (Shapiro 1988, 102).

რუსულ კულტურაში წარმოქმნილ საქართველოს ('გრუზია') დისკურსიული ფორმაციის გამოძიებას ესაჭიროება ტრაექტორიისა და ინსტიტუციონალიზაციის შესწავლა, რომელიც საბოლოოდ რუსულ/საბჭოთა იმეჯინერიში მყარი ხელოვნური რეპრეზენტაციით დაგვირგვინდა. ანალიზის პროცედურა ეფუძნება კონკრეტული შემთხვევების აღწერას და

გამოყენებულია ისეთი პოსტმოდერნული ტექსტუალური სტრატეგია, როგორიცაა დეკონსტრუქცია. ეს საშუალებას მოგვცემს გამომჟღავნდეს დაპირისპირებულ კონცეპტებს შორის პარაზიტული ურთიერთობა, სადაც პრივილიგირებული ცნება ('რუსეთი') გამოხატავს სიწმინდეს, სიახლეს, სიმდიერეს, მასკულინობას, პროგრესს, განვითარებულობას, რასაც 'სხვა' ('გრუზია', 'კავკასია', 'აზია') მოისაკლისებს. რომანტიკული პოეზიისა და პროზის ნიმუშები, როგორიცაა პუშკინის 'კავკასიელი ტყვე', 'მოგზაურობა არზრუმში', ლერმონტოვის 'ჩვენი დროის გმირი, პოემა 'დავა', ალექსანდრე გრიბოედოვის ლირიკა ('იქ სადაც რბის ალაზანი', და სხვ.), ალექსანდრე ოდოევსკის 'საქართველოსა და რუსეთის სამეფოს ქორწინება', არის საწყისი ტექსტები, რომელშიც კოდირებულია საქართველოს სახე-ხატი, როგორც ბარაქიანი ამქვეყნიური ედემი, ქალური საწყისით, უცვლელი, ინერტული, არქაული კულტურით. საპირისპიროდ, რუსეთი რეპრეზენტირებს ინდუსტრიას, ცვლილებას, კრეატიულობას, ინოვაციურობას, მასკულინობას, 'სუფთა ჰაერის შემოტანას'. XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან, რუსიფიკაციის ხანაში, საქართველოს რეპრეზენტაციისას რომანტიკულ კლიშეებს რელიგიური სახეები ენაცვლება, მედეასა და შავწარბა ზარემას კი ქართველი წმინდანი ქალები, ქვეყნის გაფემინურება გრძელდება მასკულინობის არყოფნის ფონზე. XX საუკუნის საბჭოთა კულტურული პროექტი თავიდანვე აქტიურად იყენებს ძველ პოეტურ სახეებს, როგორც მედეას და ამაზონ ქალებს (ვალერი ბრიუსოვის "ზ.ს.ფ.ს.რ"), ისე თამარს (მაიაკოვსკის 'თამარი და დემონი'), აგრეთვე ორი ერის შეუღლების სიმბოლო ნინო ჭავჭავაძეს (ნიკოლაი ბრაუნის 'ნინა ჭავჭავაძე').

საკითხის აქტუალობა

რუსეთის მხრიდან წითელი ხაზის გავლება ყოფილ იმპერიულ სუბიექტების ირგვლივ, რომელთა გადასვლა სხვა (უმთავრესად, დასავლურ) ორბიტაზე დაუშვებლად აღიქმება, უკავშირდება რწმენას ნაციონალისტურ იდეოლოგიაში, რომ რუსეთი ვერ იარსებებს დიადი იმპერიის არყოფნის გარეშე (Laquer 2015, 201). იმპერიასთან თვით-იდენტიფიკაცია, თუ სად იწყება და მთავრდება რუსეთი, როგორ განისაზღვრება რუსი ხალხის შემადგენლობა თუ მისი ისტორია კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ყოფილი კოლონიების (როგორიცაა უკრაინა ან საქართველო) მხრიდან ადრინდელი ცენტრის მიმართ ობსტრუქციონიზმის შემთხვევაში (Plokhly 2017, 347-348). ზბიგნევ ბრჟეზინსკის მარად-ციტირებადი სიტყვებით, 'უკრაინის გარეშე რუსეთი წყვეტს არსებობას, როგორც იმპერია, მაგრამ დაყოლიებული და შემდეგ დაქვემდებარებული უკრაინით, რუსეთი ავტომატურად ხდება იმპერია' (Brzezinski 1994). თანამედროვე იმპერიალისტური პროექტი გამოიკვეთა 2012 წლიდან, ხოლო დაჩქარდა 2022 წლიდან, როდესაც კრემლის მხრიდან გააქტიურდა ჰეგემონური დისკურსი, მრავალი ბიოპოლიტიკური ღონისძიების შემოღებასთან ერთად, ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების ცალკე ცივილიზაციის შედგენაზე, რომელთა დაცვას ისტორიულად რუსეთი მეურვეობდა, ხოლო რუსი ხალხი პუტინისეული განმარტებით წარმოადგენდა ამ ცივილიზაციის 'ქსოვილის შემკვრელ ბირთვს' (sterzhen) (Tsygankov 2016, 238). პოლიტოლოგ ივან კრასტევის თქმით, ამ პერიოდიდან პუტინისთვის რუსეთი შეწყდა როგორც ქვეყანა და გარდაიქმნა 1000-წლიან ისტორიულ სხეულად (Krastev 2022), ამგვარი პროექტით დაუმორჩილებელი ყოფილი იმპერიული სუბიექტები შესაძლოა ძალისმიერად საჭიროებდნენ ხელახალ აღზრდას (reeducation), მაგალითად 'ზანდერიტული' ანტი-რუსული მავნებლური უკრაინული იდენტობიდან მალოროსიულ პრო-რუსულ თვინიერ იდენტობამდე (Ishchenko 2022). რუსეთის მხრიდან

‘ცივილიზატორული მისიის’ როლის მორგება და კოლონიალისტური ნარატივის ხელახალი წარმოჩენა დეკოლონიზაციასა და დეკონსტრუქციას ელის როგორც რუსულ საჯარო სივრცეში, ისე აკადემიურ ინტელექტუალურ არენაზე.

ბუნდოვანი ცნება ‘რუსული სამყარო’ (Russkii mir), რომელიც შუა 2000-იანი წლებიდან კრემლის იდეოლოგიური კომპლექტის განუყოფელი ნაწილი გახდა, სცილდება და აღემატება თანამედროვე რუსული სახელმწიფოს და ეთნიკურობის ფარგლებს. რუსული საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის დისკურსი, ოფიციალურ და ფართო საზოგადოებრივ დონეზე, შეიცავს იერარქიის გამართლებას და უპირატესობის პრეტენზიას იმ სპეციფიკურ ცივილიზაციურ სფეროზე, რომელსაც ახლო საზღვარგარეთი წარმოადგენს, რისთვისაც ის ეყრდნობა გაზიარებული წარსულისა და ისტორიის სელექციურ ნარატივს (Oskanian 2021, 6). ასეთი ხედვით, რუსეთს აქვს უფლება ექსკლუზიურ ‘პრივილეგირებული ინტერესების სფეროზე’ ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე, რასაც უხეშად არღვევს ნატო-ევროკავშირის გაფართოება და დასავლეთის მზარდი ჩარევა, განსაკუთრებით ‘წმინდა რუსეთის’ განუყოფელ ნაწილებში (Kuzio 2022, 158). რუსეთის ‘სუბალტერნული იმპერია’ ამყოფს საკუთარი პერიფერიის ‘ცივილიზებაზე’, ჰეგემონური წესრიგის გავრცელებაში იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც თავად იკავებენ სუბალტერნის პოზიციას რუსული ჰეგემონური ცენტრის მიმართ და ამით კოლონიალური ბატონის როლის განგრძობითობაზე (Morozov 2015, 65).

რუსული „იმპერიული იმეჯინერი“ აღემატება არამხოლოდ კონკრეტული ლიდერების გვარებსა და მათი ზეობის პერიოდებს, არამედ ზოგადად რუსული სახელმწიფოს ტიპებს (გვიანდელი ცარიტული იმპერია, საბჭოთა კავშირი, რუსეთის ფედერაცია), ხოლო მისი სიცოცხლისუნარიანობა მეტყველებს ამგვარი „ნარკოტიკის“ (ალექსანდრ სოლჟენიცინი) საზოგადოებრივ აზროვნებაში ღრმა ანაბეჭდსა და განგრძობითობაზე. მოცემულ სტატიას სურს წარმოაჩინოს საქართველოს ადგილი იმპერიულ იმეჯინერიში, თუ როგორ, როდის და რატომ მოხდა ამ დისკურსიული ფორმაციის ჩამოყალიბება და მისი შემდგომი ტრანსფორმაცია. თუ რა როლი მიუძღვის კულტურას და უპირველეს ყოვლისა ლიტერატურას კონსტრუირებული „საქართველოსა“ და „ქართველების“ მიზანმიმართულ ორიენტალიზებაში, ეგზოტიკად ქცევაში, რომელიც რუსული სახელმწიფოს მფარველობას, ხელმძღვანელობას, დისციპლინასა თუ პასტორატს მუდმივად საჭიროებს.

Rossia vs Russ

„რუსეთის“ (Rossia) ცნება პეტრე პირველის მიერ მოსკოვის სამეფოს გაუქმების და ევროპული ტიპის განათლებული აბსოლუტისტური იმპერიის დაარსების შემდეგ თავად წარმოადგენდა კონსტრუქციას. როგორც 1909–10 წლებში დაწერილ მემუარებში ყოფილი ცარიტული გავლენიანი მინისტრი სერგეი ვიტტე წერს, პეტრე დიდის შემდეგ აღარ არსებობს რუსეთი (როგორც Rus), არსებობს მხოლოდ რუსეთის იმპერია (Rossia) (Service 1998, 1). უზარმაზარი იმპერიის შენარჩუნება მოითხოვდა დიდძალ ეკონომიკურ მსხვერპლს რუსების მხრიდან, როგორც სოციოლოგმა გიორგი გაჩევა შენიშნა, Rus იყო Rossia-ს მსხვერპლი (Hosking 1997, xix). მოსახლეობის ფართო მასებისგან გაუცხოებული განათლებული (ხშირად უცხოელი) ელიტა მისი დაფუძნების დღიდან, განსაკუთრებით ფრანგული რევოლუციისა და ნაპოლეონური ომების შემდეგ, ფიქრობს ახალი სუპრა-ნაციონალური და გამოკვეთილი სამხედრო ეთოსის მქონე იმპერიული წარმონაქმნის იდენტიფიკაციაზე, მის საზრისზე. რუსულ ინტელიგენციაში, მიუხედავად აზრთა

მრავალფეროვნებისა დეკაბრისტებიდან ულტრა-რეაქციონერების ჩათვლით, არსებობდა კონსესუსი რუსეთის, როგორც არა ერის, არამედ იმპერიის გაგებაზე, გარკვეული მისიის მქონე ცალკე აღებულ ერთიან ცივილიზაციაზე, რომელიც მრავალ დაპყრობილ ხალხს ველიკორუსების საფარქვეშ აერთიანებს (Prizel 1998, 165). იმპერიულმა ნაციონალიზმმა ვერ მოახერხა მცირერიცხოვანი ელიტიდან მისდამი გულგრილად განწყობილ და თავად კოლონიზებულ (Etkind 2013) ფართო მასებამდე შეღწევა, რომლისთვისაც თვითმპყრობელური იმპერია („მამილო მეფის“ გამოკლებით), მსგავსად პუშკინისეული „ბრინჯაოს ჯარისკაცისა“, უცხო მტრულ ელემენტად რჩებოდა, იმჟამინდელ ფოლკლორულ ნამუშევრებში მკვეთრად აისახა კონტრასტი რუსულ იმპერიასა (rossiiskaia) და წმინდა რუსეთს (sviatorusskaia) შორის (Tolz 2001, 79). კონტინენტური იმპერიის განუწყვეტელი ექსპანსია უაღრესად ართულებდა ცენტრისა და პერიფერიის, მეტროპოლისა და კოლონიების, გარკვევას, თუ სად მთავრდებოდა საკუთრივ რუსეთი (Russia Proper) ან სად გადიოდა საზღვარი რუსებსა და სხვა ხალხებს შორის (Фурман 2005). XIX საუკუნეში ინტელექტუალთა მიერ განვითარებულ იმპერიულ ცნობიერებაში ნებისმიერი სამფლობელო მიჩნეულია ერთი სხეულის (Rossiia) ერთეულად, მის კიდურად (Shkandrij 2001, 12).

იმპერია ერი-სახელმწიფოს ნაცვლად

იმპერიულ ნარატივთან გადაჯაჭვულია რუსი ერის ვინაობისა და თვით-წარმოდგენის გარკვევა. თუ ეს უკანასკნელი ხდებოდა იმპერიასთან იდენტიფიკაციით, როგორც დიადი ნაციით უნიკალური და საგანგებო მისიით, საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ აღარაა ნათელი რუსული იდენტობა, ამან ღიად დატოვა კითხვა, თუ ვინ ეკუთვნის ამ ერს ან რა უნდა იყოს საზღვრები (Hosking 1997, 486). კომუნიზმში ცხოვრებით ისინი ექვემდებარებოდნენ ერთ ერთსახოვან კოლექტიურ იდენტობას და თავს წარმოისახავდნენ იმპერიის ‘განსაკუთრებულ შემაკავშირებელ ძალად’ (Jackson 2003, 28). საბჭოთა ჰიმნის პირველივე სტროფით, მათი ‘სიდიადე’ მდგომარეობდა ბევრი განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის გაერთიანებაში, რომლებიც თავის მხრივ კმაყოფილებით იღებდნენ დამორჩილებულის როლს (Thompson 2000, 44). 1930-იანი წლებიდან გორბაჩოვის პერიოდამდე, საბჭოთა ნაციონალურობის პოლიტიკა თუ ისტორიოგრაფია რუსებს ასახელებდა არა-რუს ხალხთა ‘უფროს ძმად’, გარეშე მტრებისგან მათ დამცველად, უნივერსალური მისიით და სხვებზე აღმატებული საკუთარი ენით. საბჭოეთის დაშლის შემდეგ, ნაციონალური იდენტობის მრავალი კრიზისული ვარიანტი მიუხედავად იდეოლოგიური სიჭრელისა, უმთავრესად თანხმდება რუსების, როგორც დიდი ძალის როლზე, ყოფილ იმპერიულ მიწებზე ხელმძღვანელის ფუნქციით (Prizel 1998, 154-155).

მკვლევარების აზრით, რუსეთის და რუსების განსაზღვრის სიძნელე უმთავრესად მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთი არაა და არც არასდროს წარმოადგენდა ერ-სახელმწიფოს. ამის ნაცვლად ის დაარსებიდანვე იყო მრავალ-ეთნიკური, მრავალ-ენობრივი სახელმწიფოებრივი წყობა, იმპერია, დაპყრობებისა და ანექსიების ხარჯზე გამუდმებით მზარდი ტერიტორიებით და გავლენის სფეროებით (Franklin & Widdis 2004, 4). იმ დროიდან, როდესაც ივანე მრისხანეს დროს მოხდა ყაზანის და ასტრახანის სახანოების შემოერთება, რუსეთმა დაკარგა მონო-ეთნიკური ხასიათი და მისი ერთობა დაუკავშირდა ჯერ დინასტიურ, შემდეგ პარტიულ პრინციპს (Malia 2008, 507). ამგვარი იმპერია აშენდა რუსული საკუთარი თვითშეგრძნების და ნაციონალური კონსოლიდაციის ვერგაჩენის ხარჯზე, რუსეთმა შეიძინა იმპერია, სანამ ის შეიძენდა ნაციას. იმპერიასთან მიჯაჭვებამ

შეაფერხა ნაციონალური ცნობიერების განვითარება (Hosking 1997, XIX-XXI), ხოლო კოლონიების განუყოფლობამ მეტროპოლისთან გეოგრაფიულად თუ პოლიტიკურად გაურკვეველი გახადა რუსების სამშობლოს საზღვრები (Szporluk 1994, 21-39).

რუსეთის ფედერაცია და „ახლო საზღვარგარეთი“

მრავალი მეცნიერის თანხვედრი მოსაზრებით (Hosking 1998; Plokhy 2017, 347-349; Suny 2001; Szporluk 1994; Tolz 2001; Фурман 2010) შეუძლებელია თანამედროვე რუსული ნაციონალური დისკურსის განცალკევება იმპერიულისგან, მეტიც „რუსული ნაციონალიზმი“ არასწორი ტერმინია და საქმე გვაქვს იმპერიალისტურ იდეოლოგიასთან. იმპერიების მშენებლობამ ხელი შეუშალა ნაციონალურ კონსოლიდაციას და ეთნიკური იდენტობის ჩამოყალიბებას, რუსებს არ ჰქონიათ საკუთარი ერი-სახელმწიფო, ცარისტული რუსეთის გამოცდილება იყო დაუმთავრებელი ერის-შექმნის პროცესი და გლეხებიდან რუსებად ვერგარდაქმნა. ამ ყველაფრის შედეგად, თანამედროვე რუსული თვითგანცდა არ არის ბოლომდე გამოსული იმპერიული და საბჭოთა ცნობიერების ჭეშმარიდან. ამგვარი გარემოებით ხშირად ხსნიან რუსეთის პრობლემებს მეზობლებთან, რიჩარდ ფაიფსი მოსკოვის დამოკიდებულებას ყოფილ საბჭოთა ქვეყნებთან ემახდა „მოდერნიზირებულ ბრეჟნევის დოქტრინას“ (Pipes 1997). რუსეთის იმპერიულ იდენტობას ესაჭიროება დომინაცია საგარეო საქმეთა მინისტრ ანდრეი კოზირევის მიერ 1992 წლის დეკემბერში პირველად გაჟღერებულ ე.წ. „ახლო საზღვარგარეთში“, რომელიც მრავალი რუსისთვის საზღვარგარეთს შეიძლება არც წარმოადგენდეს. ტიპური თანამედროვე რუსი ნაციონალისტისთვის, როგორც პუბლიცისტი ალექსანდრ პროხანოვია, „რუსეთი არის დიადი ქვეყანა, მხოლოდ პირობითად დაცული საზღვრებით (Remnick 2014), კრემლთან დაახლოებული პოლიტოლოგ ანდრანიკ მიგრანიანისთვის კი პოსტ-საბჭოთა ქვეყნების საზღვრები „დროებითია“ (Prizel 1998, 259). ზბიგნევ ბრეჟნისკის 1994 წლის გაცემილი ფრაზის რეფორმულირებით და გავრცობით, თუ „უკრაინის გარეშე, რუსეთი აღარაა იმპერია“, რა არის თანამედროვე რუსული იდენტობა თავისი იმპერიული პერიფერიების გარეშე (Clowes 2011; 10).

ასეთი მემკვიდრეობითაა ნასაზრდოები დღევანდელი პოპულარული წარმოდგენები რუსულ პოლიტიკაში, როდესაც პოლიტიკოსები თუ ანალიტიკოსები საუბრობენ საზღვრების ხელოვნურობაზე, ფანტომურ ტკივილებზე, ლეგიტიმურ გავლენის სფეროებზე, სხვა სუვერენული სახელმწიფოებისა და ერების (უკრაინა, საქართველო) სათუბოზე. პუტინის სხვადასხვა დროს გაჟღერებული სიტყვებით, „უკრაინა არაა ქვეყანა“ (Burns 2019, 238) ან „საქართველო მაშინ არ არსებობდა“ (Путин 2012). რუსული სხეულის პოლიტიკისთვის (body politic) „საქართველოს“ კონსტრუქცია რჩება უფრო მეტად საშინაო, ვიდრე საგარეო საკითხად, პირობითად დაცული საზღვრებით, შესაბამისად იმ მგრძნობიარე ადგილად, რომლის დაკარგვის საფრთხე უცხო ძალების წინაშე (NATO, აშშ, „დასავლეთი“) მტკივნეულად გადასატანია.

რუსეთის, როგორც დიდი ძალის (Great Power) თუ იმპერიის იდენტობა მტკიცედ ეყრდნობა „ახლო საზღვარგარეთში“ მის გამორჩეულ, მოწინავე როლს. ხელისუფლება, განსაკუთრებით 2012 წლიდან პუტინის მესამე ვადის არჩევის შემდეგ, აქტიურად მიმართავს დისკურსს ყოფილი საბჭოთა კავშირის (და მანამდე რუსეთის იმპერიის) ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის მიერ დასავლეთისგან გამორჩეული ცალკე ცივილიზაციის შედგენას, რომლის დაცვას მავნებლური გარეშე ძალებისგან (ფიზიკურად

თუ მენტალურად) ისტორიულად რუსეთი კისრულობდა და ამ უკანასკნელის გამორჩეული პრეროგატივა იყო. სერგეი ლავროვის სიტყვებით, „წარსულისგან ჩვენ შევინარჩუნეთ უნიკალური გამოცდილება თანაცხოვრებისა და თანამშრომლობის, ადამიანური ბედისწერათა ურთიერთგადაჯახვის... ეს არის ჩვენი დიდი უპირატესობა, რომლის მიტოვება დღევანდელ გლობალიზებულ სამყაროში დაუფიქრებელი იქნებოდა“ (Oskanian 2018, 46).

თავად ის ფაქტი, რომ დასავლურ უნივერსიტეტებში მწირია რუსული კოლონიალიზმის დისკურსის შესწავლა და არ მომხდარა ბრიტანული თუ ევროპული იმპერიალიზმების მსგავსად პოსტკოლონიალისტი მეცნიერების მიერ მისი დეკონსტრუირება, მეტყველებს რუსული რიტორიკის წარმატებაზე. პოსტ-კოლონიურ რუკაზე რუსეთის პერიფერიები (აღმოსავლეთ ევროპა, შუა აზია, კავკასია) განუხილავი თეთრი ლაქებია და ისინი ნაგულისხმევია რუსული ლეგიტიმური „გავლენის სფეროს ნაწილად“ (მაგალითად პროფესორ სტივენ კოენისთვის) (Thompson 2000, 24). რუსეთის შემთხვევაში ჯერჯერობით არ მომხდარა არც კულტურულად და არც პოლიტიკურად, ბრიტანეთის, საფრანგეთის და ამერიკის მაგალითის საწინააღმდეგოდ, კოლონიალური ჩაგვრის წარსულისა და „სხვის“ დისკრიმინაციის მხილება.

რუსული ლიტერატურა და ორიენტალიზება

თანამედროვე რუსეთის დამოკიდებულებაში პერიფერიების მიმართ განუზომელი წვლილი მიუძღვის კულტურიდან და უპირატესად ლიტერატურიდან კონსტრუირებულ წარმოდგენებს. რუსულ კულტურულ დისკურსში ღრმად აღიბეჭდა იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის ფენომენი, ლიტერატურული ტექსტებით ჯერ ცარისტულ და შემდეგ საბჭოთა იმპერიებში შეიქმნა დაპყრობილი მხარეების ხელოვნური რეპრეზენტაციები. რუსულმა ხელოვნებამ არამხოლოდ გაამყარა რუსულ ფსიქეზე იმპერიის ცნება და იდენტობა ამ უკანასკნელს უფრო ღრმად დაუკავშირა, არამედ იმპერიულ ექსპანსიას გაუჩინა პოზიტიური გამართლება „ცივილიზატორული მისიების“ სახით (Prizel 1998, 172). რუსული ლიტერატურა ხაზს უსვამდა შემოერთებულ ტერიტორიებზე ცივილური იმპერიის ყოფნის მნიშვნელობას და პირუკუ, მეორეხარისხოვან სტატუსს აძლევდა, აფერმკრთალებდა და ზოგჯერ ამოძირკვავდა რეგიონალურ ისტორიასა თუ კულტურას (Thompson 2000; Shkandrij 2001). კოლონიურ ცენტრსა და კოლონიზებულ პერიფერიას შორის კომპლექსური ურთიერთობა აგრეთვე დიდწილად ეხმარებოდა მმართველ სუბიექტს იდენტობის განსაზღვრაში. კოლონიალიზებულ „სხვის“ საგანგებო „ფეტიშიზაცია“ იმპერიის წარმომადგენლებს აძლევდა მკაფიოდ გამოკვეთილ ზემდგომ კუთვნილებას. ამგვარი ხედვით, ცენტრი არის დინამიური ადგილი ისტორიითა და მომავლით, დიადი ისტორიული მიზნით და განვითარების პოტენციალით. საპირისპიროდ, პერიფერია დასახულია ადგილად ისტორიისა და შიდა დინამიკის გარეშე, რომლის ხალხები არიან ჩაფლულნი უცვლელი არქაული მითებისა და რიტუალების ერთობლიობაში, რის გამოც აგრერიგად საჭიროებენ ცენტრის მოწყალე მფარველობას (Bhabha 1994, 106). ლიტერატურის დახმარებით, რუსულ იმპერიულ ცნობიერებაში შუა აზია და კავკასია გადაიქცა მოდერნულობის გარეშე არსებულ „ანტი-სივრცედ“ / „არა-სივრცედ“, რომელიც ცივილიზებული ადამიანის თვალში არსებობს, როგორც მხოლოდ კლიშირებული ეგზოტიკური ტოპოსი, სადაც სტერეოტიპული ორიენტალები სახლობენ (Tlostanova & Mignolo 2012, 116).

რუსული ლიტერატურის ამგვარი მოპყრობა შემოერთებული მიწებისა და ხალხების მიმართ, რომელიც ფუნქციონირებდა იმპერიული დომინაციის გამამართლებელ მეტაფორად, თავის მხრივ არის რუსული ანარეკლი და გამოძახილი ედვარდ საიდის მიერ აღწერილი დასავლური მეცნიერებისა და კულტურის მიერ ჰომოგენური კულტურული ერთეულის „აღმოსავლეთის“ გამოგონებისა (Said 1978; Said 2012). საიდისთვის „აღმოსავლეთის“ კულტურული კონცეფციის გამოგონებით დასავლური მეცნიერება ჩადგა იმპერიალიზმის სამსახურში, როდესაც მან შექმნა ორიენტალური მრავალფეროვანი სამყაროს რედუცირებული მყარი პარადიგმა, როგორც ჩამორჩენილი, არარაციონალური, ზარმაცი, არაკულტურული, ველური „სხვისა“. საიდისთვის ასეთი ცრუ რეპრეზენტაციის საშუალებით მოხდა „დასავლეთის“ ევროპული კოლექტიური იდენტობის ფორმაცია, როგორც აღმოსავლეთის საპირისპირო პროგრესული, ცივილური და რაციონალური აღმატებული ძალისა. პოსტ-კოლონიალისტებისთვის ორიენტალიზება ამართლებს დასავლურ იმპერიალიზმს ცივილიზაციის შეტანის არგუმენტით, როდესაც განმანათლებლობის გზით ხდება აღმოსავლეთის ხანგრძლივი ატავისტური ძილისგან გათავისუფლება და ჩამორჩენის მიზეზ „ტრადიციულ“-„რეაქციონერული“ ფასეულობების შეცვლა „თანამედროვე“-„პროგრესულით“. ამ ჭრილში, ევროპული მეცნიერება და ლიტერატურა გახდა იმპერიალისტური იდეოლოგიის გამავრცელებელი, მან დამკანინებელი დისკურსის შექმნით დაასაბუთა აღმოსავლეთის ხალხზე ბატონობა და ორიენტის ევროპის სარკისებურ გამოსახულებად გარდაქმნის საჭიროება (Hallaq 2012).

ის როლი, რასაც საიდისთვის მეცნიერება ასრულებდა დასავლეთის მხრიდან „აღმოსავლეთის“ შექმნაში, რუსულ მაგალითზე ჩანაცვლდა ლიტერატურით. როგორც ფილოლოგი დმიტრი ლიხაჩოვი აზოგადებს, რუსები უფრო მეტად მიდრეკილნი არიან „ემოციონალური პრინციპებისკენ“, ვიდრე ლოგიკისკენ (Layton 1997, 12). აღნიშნულა ისიც, რომ რუსული „წარმოსახვით საზოგადოების“ (imagined community) მოყვანილობაზე ყველა ფაქტორზე მეტად ლიტერატურამ შეასრულა მთავარი როლი (Hosking 1997, 143). ალექსანდრ სოლჟენიცინის „პირველ წრეზე“ ერთ-ერთი პერსონაჟის თქმით, რუსეთში მწერალს აქვს „მეორე ხელისუფლების“ სტატუსი (Emerson 2008, 23), პუშკინის აზრით, თავად მას გააჩნდა უფრო მეტი ზეგავლენა, ვიდრე „მთლიან სამინისტროს“ (Parthe 2008, 5).

პოსტ-კოლონიალისტი თეორეტიკოსი რობერტ იანგი წერს, რომ საიდის ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტი ცოდნის დისკურსიული კონდიციების შესახებ არის ის, რომ ორიენტალიზმის ტექსტები არამხოლოდ ქმნის ცოდნას, არამედ თავად რეალობას, რომელსაც ისინი აღწერენ (Young 2004, 168). დასავლეთის „აღმოსავლეთის“ დისკურსიული ფორმაციის მაგალითის მსგავსად რუსეთის „საქართველოს“ („გრუზია“) ფუკოსეული ცოდნა/ძალაუფლების ურთიერთკავშირის შესწავლა და გენეალოგიური კვლევა წარმოადგენს ამ ნაშრომის მიზანს. შეიძლება იმის თქმა, რომ რუსულმა კულტურულმა ინდუსტრიამ საკუთარი სუბიექტური მიზნებისთვის შექმნა და გამოიყენა „საქართველოს“/„გრუზიის“ პარადიგმა, რასაც თავიდანვე აკლდა ავთენტური და ფაქიზი გაგება. ამგვარი ყალბი რეპრეზენტაცია გახდა ინსტიტუციონალიზებული და საბოლოოდ წყარო რუსეთის და რუსების მხრიდან საქართველოს შესახებ არასწორ წარმოდგენათა მთელი კორპუსისა. თუ საიდის თემის გავრცობით, მარია ტოდოროვასთვის ბალკანეთი ევროპის მხრიდან გახდა „ბალკანიზებული“ (Todorova 2009), შეიძლება იმის თქმა, რომ საქართველო რუსეთის მხრიდან იქცა „გრუზიზებულიად“.

„გრუზიის“ გენეალოგია

რუსულმა ლიტერატურამ ხელი შეუწყო იმპერიულ ცნობიერებაში არსებული სასაზღვრო პერიფერიების, მათ შორის „ლიტერატურული კავკასიის/საქართველოს“ (სიუზენ ლეიტონი) გამოგონებას, ავთენტური კულტურის ნაცვლად სტერეოტიპული ეგზოტიკურის დანახვას, მათ შეგნებულ დაკნინებასა და დამცრობას, რათა ამით მომხდარიყო იმპერიული პროექტის ლეგიტიმაცია, ჩამორჩენილ მხარეში ცივილიზაციისა თუ სოციალისტური მოდერნულობის შემოტანის აუცილებლობის დასაბუთება და რასაკვირველია, აღმზრდელთა „თეთრი ადამიანის ტვირთის“ (კიპლინგისეული white man's burden) როლის წარმოჩენა. კულტურული ინდუსტრია ნებისთი თუ უნებლიეთ მონაწილეობდა ცარისტულ თუ საბჭოთა ბიოპოლიტიკაში, ფუკოსეული „მორჩილი სუბიექტების“ (docile subjects) დისციპლინაში, მათ აღზრდაში ცივილური პოლისის საგნებად, განათლებული საზოგადოების („ობშესტვო“) წევრებად, რომლებიც ოპერის თეატრში წარმოდგენებს ესწრებიან თუ ემანსიპირდებიან სოციალისტურ „მზიურ საქართველოში“.

მკვლევარების მხრიდან (მაგალითად, ილია ერენბურგის) ხშირად შემჩნეულია რუსულ პოეზიაში ეზოთერიზებული საქართველოს ნიშა, მანდელშტამისთვის ერთგვარი „ქართული მითოსი“. ის იყო დასახული რუსული პოეზიის აღთქმულ მიწად (ოსიპ მანდელშტამი), რუსი პოეტის იტალიად (ნიკოლაი ტიხონოვი), რუსულ პარნასად (სერგეი ესენინი), რუსული პოეზიის დედაქალაქად (დმიტრი ბიკოვი), ხოლო კავკასია პოეტური ტალანტების აკვნად, მუზების შთამაგონებელად და აღმზრდელად, პოეტურ სამშობლოდ (ბესარიონ ბელინსკი). ფუკოსეული გენეალოგიის მეთოდით საინტერესო უნდა იყოს რუსულ იმეჯინერიში „საქართველოს“ დისკურსიული ფორმაციის გაჩენა და მისი შემდგომი ტრექტორია. „საქართველოს“ თემატიკას რუსული ელიტა ეცნობა იმხანად, როდესაც რუსული გოსუდარსტვო ნაპოლეონური ომების შემდეგ განიცდის მანამდე მოცემულობად მიღებულ ევროპული ტიპის აბსოლუტიზმის იდენტობის კრიზისს (Groys 1992). ამ დროს კარამზინის, გლინკას, თუ მეფის ოფიციალობის დამსახურებით ხდება „რუსული“ წარსულის რეკონსტრუირება, ხოლო კავკასიის ფრონტზე მეზრდოლი ძლევამოსილი არმია ხელს უწყობს შელინგური პრიმორდიალური ძალის მქონე სახელმწიფოს თავყვანისცემას. გარდა ამისა, იმპერიული ელიტები დასავლეთის მიმართ არასრულფასოვნების შეგრძნების კომპენსირებას მარჯვედ ახდენენ აღმოსავლეთში საკუთარი „ცივილიზატორული მისიის“ გაჩენით. დოსტოევსკი გამოხატავდა ამგვარ დილემას შემდეგი ფრაზით: „ევროპაში თათრები ვიყავით, როდესაც აზიაში ჩვენც ევროპელები ვართ.“ ჰარშა რამის ფორმულირებით, იმისათვის, რომ რუსეთი უფრო დასავლური გამხდარიყო, მას უწევდა აღმოსავლეთით გაფართოება (Ram 2003, 34-34). იმპერიაში ინკორპორაციიდან ორი ათწლეულის შემდეგ მანამდე სრულიად უცნობი „კავკასიისა“ და „საქართველოს“ თემატიკა რუსული იმეჯინერის ჰორიზონტზე მოულოდნელად ჩნდება პუშკინის „კავკასიური ტყვის“ პოპულარობისა და მისი მემკვიდრე ეპიგონი პოეტების ლირიკის გამოისობით. რუსული იმპერია ევროპისგან სესხულობს ანტიკური ტექსტების არქაულ „კოლხიდას“ თუ რომანტიკოსთა პოეზიის ქართველი მონა ქალების სილამაზეს და სრულიად ივიწყებს მოსკოვის რელიგიური სამეფოსთვის ცნობილ უმველეს ქრისტიანულ „ივერიას“ კვართით, ივერიის ღვთისმშობლის ხატით თუ წმინდანთა ნაწილებით. პოეტები ახდენენ საქართველოს ფემინიზებას, დაუმორჩილებელ ველურ მზეთუნახავად გამოყვანას, რომლის უძლური ქმარი უკანასკნელი მეფის გიორგი

XII-ის არქექტიპს წარმოადგენს და რომელიც მრავალ მთხოვნელთა შორის მხოლოდ რუსულ კოლოსს ირჩევს (Layton 1997, 209). XIX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან ცივილიზატორული მისია რუსიფიკაციის პერიოდით იცვლება, ლიბერალი ვორონცოვის ფიგურა შოვინისტ ვასილი ველიჩოსთვის უკვე საქილიკო ხდება. ამ პერიოდის რუსულ მართლმადიდებლურ დისკურსში, საქართველოს კოლონიური სხვის სიმბოლო ქალი წმინდანები ხდებიან (Aleksidze 2020, 122). განუზომლად იზრდება ინტერესი წმინდა ნინოს, თამარის, ქეთევანის მიმართ, 1884 წელს ჟურნალ 'კავკაზში' პეტრ ოპოჩინინი გრძელ პოემა 'წმ ნინაში' მკითხველებს ხატოვნად მოუთხრობს უძველესი მხარის ქრისტიანობაზე მოქცევის შესახებ.

XX საუკუნის საბჭოთა კულტურული პროექტი მემკვიდრეობით იღებს აღსაზრდელი პერიფერიის პოეტურ ტროპებს და მას ფართო მასების ცნობიერებაში ამკვიდრებს. ცარისტული იმპერიისგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირის ძალაუფლების სამიზნე სრული მოსახლეობაა, ფუკოსეული ცნებებით, დისციპლინა ბიოპოლიტიკით იცვლება. საბჭოთა მოდერნიზაციულ პროექტში, არნახული მასშტაბის დისციპლინური ინსტიტუტების მხარდაჭერით, პარტიის ხელმძღვანელობით მიერ ხდება გლეხების მუშებად, მოქალაქეებად, კადრებად გარდაქმნა (Mazower 1999, 122). კომუნისტური ბანაკის პოპულაციაში ხდება სოციალისტური საქართველოს წარმოდგენა, მისი ნაციონალური პროექტის შედეგადად ინტერნაციონალის ყალიბის მიხედვით, საკუთარი არქაული კულტურით, მზიანი ბუნებით, რუსთაველის ფიგურით, ცეკვებით თუ სამზარეულოთი. 'გრუზიზება' შეიძლება დახასიათდეს, როგორც ორიენტალიზების ისეთი განსაკუთრებული ფორმა, რომელიც კოლონიზებული ქვეყნის კულტურას განადიდებს, ფილოსოფოს კოჯინ კარატანის ცნების გამოყენებით ამგვარი ურთიერთობა ემსგავსება 'დაქვემდებარებული სხვის ესთეტიურ თავყვანისცემას' (Karatani & Korsó 1998).

საბჭოთა პერიოდის „ხალხთა ძმობის“ ლიტერატურაში, ლექსებსა თუ მწერალთა ტრაველოგებში, საქართველო წარმოდგენილია უძველეს ქვეყნად, რომელიც მარქსისტული ეკონომიკური დეტერმინიზმის მიხედვით გაგებულ საზოგადოებათა წრფივი განვითარების მოდელით პროგრესს განიცდის და ცივილიზაციის ნაცვლად ამჯერად სოციალისტურ მოდერნულობას ეზიარება საბჭოთა რუსების მეთვალყურეობითა და ხელმძღვანელობით (Sahni 1997). საბჭოთა კავშირი უარს არ ამბობს „საქართველო-სამოთხის“ პოეტიკაზე და მოდერნულ შტრიხებს უმატებს (Чхаидзе 2018). მაიაკოვსკისთვის, როგორც ცარიზმის დროს იაკობ პოლონსკისთვის, საქართველო კვლავ სამოთხეა: „მე ვიცი უმღერდნენ ედემს და სამოთხეს, მაგრამ თუ ლექსავდნენ ოცნებით, ალბათ საქართველო ედემად გამოჰყვეს“, მაგრამ ამჯერად ძველი მითოლოგიური სახეების ნაცვლად საუბარია „ქარხნების სიმღერასა და კრანთა შაირზე“ (მაიაკოვსკი 1952, 90-95). საბჭოთა საზოგადოების წარმოდგენების საუკეთესო ნეიტრალურ დაკვირვებად დარჩა ჯონ სტეინბეკის ცნობილი რემარკა მისი 'რუსული დღიურიდან', რომ 'რუსები სამოთხის ნაცვლად საქართველოზე ოცნებობენ' (Steinbeck 2011, 144).

თანამედროვე რუსეთმა მემკვიდრეობად გადმოიბარა საუკუნეების მანძილზე სახელმწიფოს სამსახურში მდგარი კულტურული ინდუსტრიის მიერ რუდუნებით ნაშენები ცოდნის რეჟიმები. რუსეთის ფედერაცია, როგორც გლობალური სუბალტერნული იმპერია, საკუთარ პერიფერიებს, ანუ იმ ქვეყნებს, რომლებიც რუსული ცენტრის მიმართ თავად იკავებენ სუბალტერნულ პოზიციას (Morozov 2015, 65), მისივე კონსტრუირებული „ცივილიზატორული“ მითით ალიქვამს. თანაზიარი ისტორიისა და კულტურის სელექციური ნარატივით ამგვარად ხდება რუსული ხელმძღვანელობის იერარქიის

გამართლება. ყოფილი კოლონიების მიმართ რუსულ დამოკიდებულების ძირისძირში ღრმად გამჯდარი რწმენა იმისა, რომ იმპერიას ჰქონდა საკუთარ კოლონიებზე დაპყრობილი ხალხების მიერ მადლიერებით მიღებული კეთილისმყოფელი გავლენა, ხოლო სხვაგვარი პოზიცია უსუსური სუბალტერნის მხრიდან უბრალოდ უჩვეულო ანომალიაა. ამგვარი აზროვნების საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ რუსი ნაციონალისტი პუბლიცისტის ლევ ვერშინინის 2019 წლის წიგნი „გარბოდნენ მამაცი ქართველები“, სადაც ის სვამს კითხვას, თუ რატომ გადაუხადა მადლობა სიძულვილითა და სისხლით რუსეთს ოდესღაც იმპერიის მიერ გენოციდისგან გადარჩენილმა ამ „ძმურმა ხალხმა“ (братский народ) ან აქვს კი მომავალი „დამოუკიდებელ საქართველოს“ (Вершинин 2019). ის პოლიტიკოსები თუ მოძრაობები, რომლებიც წარმოსახულნი არიან რუსეთის გაბატონებული პოზიციის ქვეშ მყოფი თვით-მყოფადი გამორჩეული ცივილიზაციური არეალის ობსტრუქციონისტებად, წარმოჩენილნი არიან, როგორც უცხოურ თავს მოხვევად ძირითადად დეკადენტური დასავლეთის მიერ (Oskanian 2018, 44). ამგვარი ლოგიკით, იმპერიულ სუბალტერნებს, ყოფილი ცენტრისგან ნაკარნახევი უმცროსი ძმის ვიწრო ყალიბის პროფილის მიღმა, არ გააჩნიათ საკუთარი აგენტობა და დამოუკიდებელი ნება-სურვილი. თანამედროვე პოლიტიკურ დღის წესრიგში შემორჩენილი ძველი კულტურული რეპრეზენტაციები და კონსტრუირებული ნაციონალური პროექტები კვლავაც ელის დეკოლონიზებასა და დეკონსტრუირებას.

ქართული ინტელექტუალური ტრადიციის რეაქცია

უნდა აღინიშნოს, რომ იმპერიის „ცივილიზატორული მისიის“ სიყალბე და რუსულ ლიტერატურაში მიმდინარე საქართველოს ორიენტალიზება არ გამორჩენიათ ქართველ ინტელექტუალებს. გრიგოლ რობაქიძე 1910 წლის წერილში „ვ. ა გურგოს ლექციაზე“ აღნიშნავს რუსი საზოგადოებისა და მწერლების მიერ საქართველოს თვითმყოფადი კულტურის გაუცნობიერებლობაზე და შემდეგ ამატებს: „ლერმონტოვმა, მაგალითად ქართველი წარმოაჩინა, როგორც მშობარა - ეს ის ქართველი, რომლის გმირულ სულს საუკუნეები აწრთობდა. პუშკინს თავის ცნობებში - თბილისის აბანოების შესახებ - იგივე ქართველები გამოჰყავს როგორც გაუნათლებელი და უკულტურო ადამიანები. კუპრინი სტუდენტ ნიჟარაძის სახით თავის „ორმოში“ ქართველებს დასცინის. არცბაშევი „ექვიანობაში“ გვამღევს გმირის, დორბელიანის კარიკატურულ სახეს. ქართულ კულტურაში მათ მხოლოდ ქართველი ქალის სილამაზეს მოჰკრეს თვალი..“ (რობაქიძე 2014, 322). კონსტანტინე გამსახურდია 1917 წელს წერდა, რომ მეფის მოხელეებს არ აინტერესებდათ კავკასიის ხალხთა კულტურა, არ შეუსწავლიათ იგი ეთნიკური, ლინგვისტური,, გეოგრაფიული თვალსაზრისით, საქართველო მათთვის დარჩა ეგზოტიკურ ქვეყნად, ლერმონტოვის დემონის, ტოლსტოის ჰაჯიმურატის, „გლუპი გრუზინსკი კნიაზისა“ და კუპრინის ნიჟარაძის სამშობლოდ (სიგუა 1988, 78). 1925 წელს დაწერილ მოთხრობაში „ლამბალო და ყაშა“ მიხეილ ჯავახიშვილი ძერწავს „წმინდა რუსეთის განუყრელ აზერბაიჯანში“ რუსეთის იმპერიის მართლმადიდებლური მისიის სახელით შენიღბული ავაზაკი ეპისკოპოსი პეტრეს, როგორც „მართლმადიდებელი კაიაფას“ პორტრეტს. ქართულ ლიტერატურაში იმპერიული აზროვნების კრიტიკის წამომწყებად ალბათ ილია ჭავჭავაძე უნდა ჩაითვალოს 1861 წელს დასრულებული „მგზავრის წერილებით“, სადაც რუსი ოფიცერი საუბრობს ქართველების თანმიმდევრულად აზროვნების უნარის არქონაზე, მხოლოდ რუსების შემოსვლის დაწყებულ განმანათლებლობაზე და ერთგან დასძენს: „ოციოდ მართალი გენერალი!

ბარაქალა მართლმადიდებელ რუსეთს! სახელი და დიდება! საცა ფეხს შესდგამს, დაამყარებს ხოლმე ცივილიზაციას“ (ჭავჭავაძე 1985, 14-15).

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომმა აჩვენა, რომ რუსეთის იმპერიული დამოკიდებულება საქართველოს მიმართ არ წარმოადგენს მხოლოდ დროებით გეოპოლიტიკურ მოცემულობას, არამედ ის არის საუკუნეების განმავლობაში ფორმირებული ღრმად ფესვგადგმული დისკურსიული ფორმაციის შედეგი, რომელშიც ცოდნა და ძალაუფლება განუყოფლად არის გადაჯაჭვული. გენეალოგიურმა ანალიზმა გამოავლინა, რომ „გრუზიის“ კონსტრუქცია რუსულ იმპერიულ იმეჯინერში ემსახურებოდა არა მხოლოდ პერიფერიის დამორჩილებას, არამედ თავად რუსული იდენტობის - როგორც „ცივილიზატორი“ და „მხსნელი“ ძალის - ჩამოყალიბებას.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა რამდენიმე ფუნდამენტური დასკვნა:

- **იმპერიული განგრძობითობა:** რუსეთის იდენტობა ისტორიულად ჩამოყალიბდა არა როგორც ერ-სახელმწიფოსი, არამედ როგორც ძლევამოსილი იმპერიისა, რომლისთვისაც პერიფერიების ფლობა სასიცოცხლო აუცილებლობაა.
- **ლიტერატურის როლი:** რუსულმა ლიტერატურამ შექმნა „გრუზიის“ პარადიგმა - ეგზოტიზებული, ისტორიას ჩამორჩენილი და მუდმივად „მფარველობის“ საჭიროების მქონე სივრცის, რამაც მოახდინა კოლონიური ჩაგვრისა და დისციპლინარული პრაქტიკების ლეგიტიმაცია.
- **აგენტობის უარყოფა:** თანამედროვე რუსული პოლიტიკური კლასი კვლავაც საბჭოთა და ცარისტული „უფროსი ძმის“ პროგნოზული პოზიციიდან მოქმედებს. იმპერიული ცენტრი ვერ ეგუება პერიფერიის მხრიდან საკუთარი ბედის განკარგვის უფლებას და საქართველოს (როგორც უკრაინის და სხვა „უმცროსი ძმების“) სუვერენული არჩევანი აღქმულია როგორც „გარეშე ძალების მავნებლობა“ და არა როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის ნება.

გენეალოგიური ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ „საქართველოს“ („გრუზიის“) რეპრეზენტაცია რუსულ იმეჯინერში წარმოიქმნა როგორც დისკურსიული კონსტრუქცია, რომელიც ემსახურებოდა რუსეთის, როგორც იმპერიული ცენტრის, თვითიდენტობის განსაზღვრასა და ლეგიტიმაციას. საქართველო სისტემატურად იყო წარმოდგენილი როგორც „სხვა“ - ეგზოტიკური, ფემინიზებული, ისტორიისა და თვითმყოფადობისგან დაცლილი სივრცე. ამგვარი წარმოდგენები ქმნიდა იერარქიულ ურთიერთობას, სადაც რუსეთი იკავებდა ცივილიზატორის, მფარველისა და მოდერნიზატორის პოზიციას, ხოლო პერიფერია განისაზღვრებოდა როგორც არასრულფასოვანი და დამოკიდებული. ეს რეპრეზენტაციები სისტემატურად უარყოფდა საქართველოს ავთენტურ ისტორიულ აგენტობას, კულტურულ სიღრმესა და პოლიტიკურ სუვერენიტეტს, ამცირებდა მას პასიურ ობიექტად, რომელიც საჭიროებდა გარეშე მეურვეობას.

საბოლოოდ, სტატია არგუმენტირებს, რომ რეგიონის ნამდვილი დეკოლონიზაცია მხოლოდ პოლიტიკური აქტით ვერ მიიღწევა. ის მოითხოვს არა მხოლოდ პოლიტიკურ სუვერენიტეტს, არამედ იმ „ცოდნის რეჟიმების“ მსხვრევას, რომლებიც რუსულმა კულტურულმა ინდუსტრიამ საუკუნეების განმავლობაში აშენა. აუცილებელია იმ კულტურული და ინტელექტუალური შაბლონების გამოაშკარავება, რომლებიც

საუკუნეების მანძილზე აყალიბებდნენ „სხვის“ აღქმას. რუსული პოლიტიკური დისკურსის ნამდვილი დეკოლონიზაცია მოითხოვს სუბალტერნული ხმების (მათ შორის ქართული ნარატივების, ილია ჭავჭავაძიდან თანამედროვე პოსტკოლონიალურ რეფლექსიებამდე) გაძლიერებას და იმპერიული წინაპირობების კითხვის ქვეშ დაყენებას. რუსული იმპერიული იმეჯინერის დეკონსტრუქცია აუცილებელი პირობაა რეგიონში ახალი, უფროს-უმცროსი ძმების მკაცრი როლების მიღმა არსებულ თანასწორობაზე დაფუძნებული პოლიტიკური რეალობის შესაქმნელად.

Irakli Gunia

PhD Student

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

E-Mail: irakligunia@gmail.com

Invention of ‘Gruzia’: The Role of Culture in Russia’s Politics towards Georgia

This article examines Russia’s imperial relationship with Georgia and conceptualizes “Gruzia” as a discursive formation grounded in the interrelation of knowledge and power. It explores the formation of the Russian imperial Self through the “Gruzianization” of its peripheries, accompanied by their degradation and marginalization. The article demonstrates that Russian literature and the cultural industry played an active role in shaping a colonial imaginary in which Georgia was represented as an exoticized, feminized, and historically deficient space requiring the civilizing, paternalistic, and disciplinary intervention of the Russian imperial center.

Drawing on Edward Said’s theory of Orientalism and Michel Foucault’s genealogical methodology, the article analyzes the construction of Georgia in Russian literature and cultural production as an “exotic Other.” A genealogical perspective makes it possible to trace the trajectories through which this discourse was materialized and institutionalized, ultimately becoming a fundamental component of Russian imperial identity.

By examining the role of the Russian cultural industry—and, most importantly, literature—the article demonstrates how the Caucasus and Georgia were transformed into an exoticized “non-space,” deprived of an autonomous history and modernity. This literary tradition, extending from Pushkin and Lermontov to the Soviet-era representation of “sunny Georgia,” functioned as an instrument of biopolitics aimed at producing “docile subjects” and portraying the imperial center as a benevolent missionary, modernizer, and savior of small nations.

The article also traces the historical trajectory of Russian imperial consciousness from the Tsarist period through the Soviet Union to the contemporary Russian Federation, examining its relationship to discourses of the civilizing mission, the “near abroad,” and the “Russian world.” The

continuity of these tropes across the Tsarist, Soviet, and post-Soviet periods highlights the resilience of the imperial imaginary despite changes in its ideological framing—from the image of the enlightened autocrat, through Orthodoxy and socialist internationalism, to the contemporary conception of the “Russian world” as a distinct civilizational sphere.

This study seeks to contribute to filling the “blank spots” on the postcolonial map of the Caucasus. It argues that the genuine decolonization of the region requires the deconstruction of deeply embedded cultural representations that deny Georgia autonomous agency and subjectivity in the eyes of the imperial center. The article thus underscores the need for the continued decolonization of Russian cultural narratives and greater attention to subaltern voices in order to rethink relations with former imperial peripheries.

Keywords: Decolonization, Discursive Formation, Genealogy, Georgia, Imperial Imaginary, Knowledge/Power, Orientalism, Russian Imperialism, Subaltern Empire.

ბიბლიოგრაფია

მაიაკოვსკი, ვ. (1952). *რჩეული*. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.

რობაქიძე, გ. (2014). *ომი და კულტურა*. თბილისი: არტანუჯი.

სიგუა, ს. (1988). *ლიტერატურა და ხელოვნების ტრადიცია*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ჭავჭავაძე, ი. (1985). *რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. II*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

Aleksidze, N. (2021). Old Saints and New Anxieties. Sainthood and Nationhood in Modern Georgia. *Identities and Representations in Georgia from the 19th Century to the Present*. ed. Hubertus Jahn. Walter de Gruyter GmbH & Co KG.

Berdyaev, N. (1992). *The Russian Idea* (R.M. French, Trans.). Lindisfarne Press (Original work published 1946)

Bhabha, H. K. (1994). *The Location of Culture*. London: Routledge.

Brzezinski, Z. (1994). The premature partnership. *Foreign affairs*, 67-82.

Burchill, S., Linklater, A., Devetak, R., Donnelly, J., Nardin, T., Paterson, M., Reus-Smit, C. and True, J., (2013). *Theories of international relations*. Macmillan International Higher Education.

Burns, W. J. (2019). *The Back Channel: A Memoir of American Diplomacy and the Case for its Renewal*. Random House.

Clowes, E. W. (2011). *Russia on the Edge*. Cornell University Press.

- Emerson, C. (2008). *The Cambridge introduction to Russian literature*. Cambridge University Press.
- Etkind, A. (2013). *Internal colonization: Russia's imperial experience*. Cambridge: Polity.
- Foucault, M. (2003). *The Essential Foucault: Selections from Essential works of Foucault, 1954-1984*. New York, NY: The New Press.
- Franklin, S. & Widdis, E. (2004). "All The Russias...?" *National Identity in Russian Culture: An Introduction*. Ed. Simon and Emma Widdis Franklin. Cambridge, UK: Cambridge University Press.
- Groys, B. (1992). Russia and the West: The quest for Russian national identity. *Studies in Soviet Thought*, 43(3), 185-198.
- George, J., & Campbell, D. (1990). Patterns of dissent and the celebration of difference: Critical social theory and international relations. *International Studies Quarterly*, 34(3), 269-293.
- Hallaq, W. (2012). *The impossible state: Islam, politics, and modernity's moral predicament*. Columbia University Press.
- Hosking, G. A. (1997). *Russia: people and empire, 1552-1917*. Harvard University Press.
- Hosking, G. (1998), 'Can Russia Become a Nation-State? *Nations and Nationalism*, vol. 4, no. 4(1998), pp. 449-62.
- Jackson, N. J. (2003). *Russian foreign policy and the CIS*. Routledge.
- Ishchenko, V. (2022). Towards the abyss. *New Left Review*, (133), 17-39. Available at <https://newleftreview.org/issues/i133/articles/volodymyr-ishchenko-towards-the-abyss> (accessed 9 June 2025).
- Karatani, K., & Kohso, S. (1998). Uses of aesthetics: After orientalism. *boundary 2*, 25(2), 145-160.
- Krastev, I. (2022). 'Putin Lives in Historic Analogies and Metaphors'. An Interview in *Spiegel*, Available at: <https://www.spiegel.de/international/world/ivan-krastev-on-russia-s-invasion-of-ukraine-putin-lives-in-historic-analogies-and-metaphors-a-1d043090-1111-4829-be90-c20fd5786288> (accessed 9 June 2025).
- Kuzio, T. (2022). *Russian Nationalism and the Russian-Ukrainian War*. London: Routledge.
- Laqueur, W. (2015). *Putinism: Russia and its Future with the West*. London: Macmillan.
- Layton, S. (1997). *Nineteenth-century Russian mythologies of Caucasian savagery*. Indiana University Press.

- Malia, M. (2008). *Soviet Tragedy: A History of Socialism in Russia*. Simon and Schuster.
- Mazower, M. (1999). *Dark Continent: Europe's Twentieth Century*. New York: Alfred A. Knopf.
- McMorrow, S. (2015). Castoriadis on the Crisis of Western Societies. *TELOSscope*, October 13, 2015. Available at <https://www.telospress.com/cornelius-castoriadis-on-russian-society/#notes> (accessed 4 July 2025).
- Morozov, V. (2015). *Russia's Postcolonial Identity: A Subaltern Empire in a Eurocentric World*. NY: Palgrave.
- Oskanian, K. K. (2018). A very ambiguous empire: Russia's hybrid exceptionalism. *Europe-Asia Studies*, 70(1), 26-52.
- Parthé, K. F. (2008). *Russia's Dangerous Texts: Politics Between Lines*. Yale University Press.
- Pipes, R. (1997). Is Russia still an enemy. *Foreign Affairs*, Sept-Oct, 65-78.
- Plokhy, S. (2017). *Lost kingdom: The quest for empire and the making of the Russian nation*. Basic Books.
- Prizel, I. (1998). *National identity and foreign policy: nationalism and leadership in Poland, Russia and Ukraine*. Cambridge University Press.
- Ram, H. (2003). *The Imperial Sublime: A Russian Poetics of Empire*. Madison: University of Wisconsin Press.
- Remnick, D. (2014). Watching the eclipse. *The New Yorker*, 11(08).
- Sahni, K. (1997). *Crucifying the Orient: Russian Orientalism and the Colonization of Caucasus and Central Asia*. White Orchid Press.
- Said, E. (1978). *Orientalism: Western concepts of the Orient*. New York: Pantheon.
- Said, E. (1993). *Culture and Imperialism*. New York: Vintage Books (Random House).
- Said, E. (2012). *Culture and imperialism*. Vintage.
- Service, R. (1998). *Russian nationalism, past and present*. Edited by Geoffrey A. Hosking. Macmillan, 1998.
- Shkandrij, M. (2001). *Russia and Ukraine: literature and the discourse of empire from Napoleon to Postcolonial Times*. McGill-Queen's University Press, Montreal.
- Steinbeck, J. (2001). *A Russian Journal*. London: Penguin Books.
- Suny, R. G., & Martin, T. (Eds.). (2001). *A State of Nations: Empire and Nation-making in the Age of Lenin and Stalin*. Oxford University Press.
- Szporluk, R. (1994). After empire: what?. *Daedalus*, 123(3), 21-39.

- Thompson, E. M. (2000). *Imperial Knowledge: Russian Literature and Colonialism*. Westport, CT and London: Greenwood Press.
- Tlostanova, M. V., & Mignolo, W. (2012). *Learning to unlearn: Decolonial reflections from Eurasia and the Americas*. The Ohio State University Press.
- Tlostanova, M. (2018). What Does It Mean to Be Post-Soviet?. In *What Does It Mean to Be Post-Soviet?*. Duke University Press.
- Todorova, M. (2009). *Imagining the Balkans*. Oxford University Press.
- Tolz, Vera, 2001. *Russia: Inventing the Nation*. Oxford University Press, London, Arnold, New York.
- Young, R. J. (2004). *White mythologies: Writing History and the West*. Routledge.
- Wallander, Celeste A. (1996). 'Ideas, Interests and Institutions in Russian Foreign Policy'. In C.A. Wallander (ed.), *The Sources of Russian Foreign Policy After the Cold War*, Boulder: Westview Press.
- Вершинин, Л. (2019). «Бежали храбрые грузины». *Неприукрашенная история Грузии*. Litres.
- Путин, В. "Пресс-конференция Владимира Путина," December 20, 2012, President of Russia, <https://special.kremlin.ru/events/president/transcripts/17173> (accessed 6 January 2025),
- Фурман, Д. (2005). 'От Российской империи до распада СНГ'. *Polit.ru*. Available at <https://polit.ru/article/2005/10/05/furman/> (accessed 6 January 2025),
- Фурман, Д. (2010). 'От Российской империи к русскому демократическому государству'. *Polit.ru*. Available at <https://polit.ru/article/2010/12/08/furman/> (accessed 6 January 2025),
- Чхаидзе, Е. (2018). *Политика и литературная традиция: Русскогрузинские литературные связи после перестройки*. Москва: Новое литературное обозрение.